# სამშობლო

შაბათი 12 სექტემბერი.

წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს [illegible] ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი [illegible] პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 3 მ, 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 174 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 174

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, ორ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა."

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო"

— ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით —

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.


ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი თომა ვასილის ძე ფერაძე და მეუღლე მისი ელენე სილოვანის ასული შვილებითურთ, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ უდროვოდ გარდაცვალებას დაუვიწყარი შვილის

## ქეთოსას.

გამოსვენება კვირას, 13 ენკენისთვეს, ნაშუადღევის სამ საათზე. საკუთარი სახლი, მეორე ალექსანდროვის ქუჩა. 2—1—1081

---

კვირას, 13 ენკენისთვეს, სოფელ ზედა მაღლაკში, მაცხოვრის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი აწ განსვენებულის

## ნესტორ გრიგოლის მის ტყეშელაშვილის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და მეგობრებს დამწუხრებულნი: და ოლინკა გრიგორის ასული რუხაძისა, სიძე სიმონ ბეჟანის ძე რუხაძე შვილებით და ბიძაშვილი ვასილ როსტომის ძე ტყეშელაშვილი. 1—1—1082

---

ულრმესად დამწუხრებულნი ქვრივი მარიამ სოლომონის ასული, შვილები: ნინო, ტერენტი, ანდრია და შუშანი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 12 ამა ენკენისთვეს, სოფ. საყულიაში, მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი აწ განსვენებულის

## ანდრია (სანდრო) ზაქარიას მის სვანამის

სულის მოსახსენებლად 1—1—1079

---

უზომოდ დამწუხრებულნი მშობლები: კოლეჟსკი ასესორი პლატონ ნიკოლოზის ძე სალაძე და მეუღლე მისი სონა ვლადიმერის ასული შვილებით: კალისტინა, ანეტა, შალვა, ლეონიდი, დათიკო, პლატონი, ცეცრა და გივი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 20 ენკენისთვეს, სოფ. დილიკაურში, ნიჟაროულის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება გარდაცვალებიდან 40 დღის წირვა და პანაშვიდი უდროვოდ გარდაცვალებულის, პირველის ორის დაუვიწყარი შვილის, ხოლო დანარჩენთა ძვირფასი ძმის

## ვლადიმერის (ვალოდია) სულის მოსახსენებლად.

3—1—1083

---

ქვრივი, ეკატერინე ვასილ მორჩაძისა და შვილი მისი დათიკო მორჩაძე, ულრმეს მადლობას ვუძღვნით იმ საზოგადოებას, რომელმაც გვირგვინებით დაამშვენა მიცვალებული, და იმ პირსაც, რომელმაც მიცვალებულის საფლავზე გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა და მით ანუგეშა დამწუხრებული ჭირისუფლები 1—1—1084


**ექიმი** გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. დორთქიფანიძის სახლი. თვ.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

**ბეზია** მ. მ. კოხრეიძე ურცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევადარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაჯხლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

მასაჟით სამკურნალო **კაბინეთი** მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფიანიძის სახლი. თ.

ელექტრო „რადიუმი" თეატრი

ხუთშაბათიდან, 10 სექტემბრიდან ნაჩვენები იქნება სენსაციური სურათი

## აღმდგარი და დამარცხებული.

ძლიერი თანამედროვე დრამა 6 ნაწილათ, **ლიუსი ვერნის** მონაწილეობით.

მ. დუნდუას ქალთა სასწავლებელი მდგომარე 1915 წ. ენკენისთვიდან **გადაკეთდა** საშუალო კერძო პროფესიონალურ **სასწავლებლათ, ოთხკლასიან პროგიმნაზიის კურსით.** სასწავლებელში სრულიად მოუმზადებელი ბავშვებიც მიიღებიან. თავისუფალი ადგილი ყველა კლასშია. სწავლის ფასი ჩვეულებრივ: საანბანოსა და სხვა განყოფილებებში 20 მანეთი, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში 25 მანეთი. მოლაპარაკება დილის 9—2 საათამდი შეიძლება. მისამართი: ბალახვანის ქუჩა, იოსებ ბაქრაძის სახლებში. თვ.

„სინათლის" საზოგადოების **დედათა ქართულ სასწავლებელში**

მისაღები გამოცდები სწარმოებს ყოველ დღე, დილის 8 საათიდან. სასწავლებლის კურთხევა მოხდება 14 სექტემბერს. სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს.

თხოვნები მიიღება სასწავლებლის ბინაზე (თბილისის ქ., გ. მეიფარიანის სახლში). 6—4

მოსკოვის ქალთა პროფესიონალურ სასწავლებელში კურს დასრულებული ვეძებ მასწავლებლის ადგილს ქალთა პროფესიონალურ სასწავლებელში. სპეციალურათ შესწავლილი მაქვს,

ქალთა ტანისამოსის ჭრა-კერვა და სხვა და სხვა ხელსაქმე. მაქვს სათანადო მოწმობა და ატესტატი მოსკოვის სახელოსნო გამგეობისაგან. ვიყვან აგრეთვე მოწაფეებს. სახლში მისამართი: კაზაკოვის ქუჩა სახლი კიკვაძისა. 6—5

## იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა

გასასყიდათ ახალი გამოცემა **სამსონ დათეშიძის ქართული დედანისა და სამხატვრო ნიმუშებისა.**

ქ. ქუთაისი.

**ექიმი ქალი** ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

ლ. ა. კეტლერი-დადუნაშვილისა

ღებულობს შინაგან და ქალთა ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. დ საღ. 5—6 ს. ქარვასლის ქუჩა, (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები. თვ. 975

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

## „რუსეთი" („როსსია"),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

**მასწავლებელი** ამზადებს ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებლისთვის; ვოლნოოპრედელიუშჩის 1 და 2 ხარისხისთვის; პრაპორჩიკების სკოლისთვის; მასწავლებლის ხარისხისთვის; სამიწათმზომელდა ტეხნიკურის სასწავლებლისათვის, უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლის მოწმობაზე; სპეციალურათ მეცადინეობს **არითმეტიკაში, ალგებრაში, გეომეტრიაში და ტრიგონომეტრიაში.** ადრესი: აბორინის ქ. ბალახვანის ქუჩიდან სახაზინო პალატის ახლოს, სახლი სამხარაძისა. ნახვა დილას 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის, 5—6 საათამდის. 12—6


# ომი

(პეტ. ტელ. სააგენტოსაგან)

### კავკასიის ასპარეზი.

**თფილისი.** 10 ეკენ. კავკ. ჯარ. შტაბისაგან. ზღვის ნაპირა რაიონში სროლაა. ოლთისს მიმართულებით ხრისტასფორის რაიონში ჩვენმა მზვერავებმა მოხერხებული სროლით ოსმალები გაფანტეს. დუტახის მიმართულებით, დუოროვის რაიონში, ჩვენმა საყარაულო რაზმა ქურთები გაფანტა. ვანის რაიონში, სოფელ ანგთან ჩვენს მზვერავ ნაწილებს შეტაკება ჰქონდათ ოსმალებთან. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

### აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** ოფიციალური. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან. გერმანელების ჰაეროპლანმა ყუმბარები ჩამოყარა. ჩვენი ჯარის სროლის შემდეგ ჰაეროპლანები საჩქაროთ გერმანელების თხრილებს იქით ჩაეშვენ.

სასტიკი ბრძოლა მოხდა სოფ. ატკანთან ახლო სადგურ ნენგუტის მიდამოში სოფელი ხელიდან ხელში გადადის. დვინსკის რაიონში სვენტენის მტრის დასავლეთით ხიშტებით ბრძოლაში ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ ერთი აფიცერი და 100 ჯ. კაცი. ხელთ ვიგდეთ ერთი ტყვიის მფრქვეველი.

სმელინის რაიონში ნოვო-ალექსანდროვსკის ახლო სასტიკი ხელჩართული შეტაკება იყო, აქ ჩვენ ხელთ ვიგდეთ ორი ტყვიის მფრქვეველი და დავატყვევეთ 200 ჯ. კაცი.

ყველა ბრძოლასა და შეტაკებაში, რომელიც ამ უკანასკნელ დროს ხშირდება გერმანელებთან, ჩვენმა ჯარმა გამოიჩინა ჩვეულებრივი ძლევა მოსილობა, სიგმირე და შეუპოვრობა.

ზაპოლნაია დვინის ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარმა დაიჭირა სოფელი ვოინიცი. იკვის მარცხენა ნაპირზე. ტყვეთ წამოიყვანა 28 აფიცერი და 1400 ჯარის კაცი. ხელთ იგდო 3 ტყვიის მრქვეველი.

ქ. კრემენეცის სამხრეთ დასავლეთით ჩვენ დავიჭირეთ ერთი მაღლობი ტყვეთ წამოვიყვანეთ 100 ჯარის კაცი და ორი აფიცერი

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 10 სექ. არტუაში გერმანელები ენერგიულათ უშენდენ როკლენკურის სეკტორს. ჩვენი არტილერია ძლიერი ცეცხლით უპასუხებდა, პევილის რაიონში სანგრებ შორის ბრძოლა ხდებოდა. ავროს სამხრეთ ჩრდილოეთით ბეერონის მიდამოებში ჩვენი არტილერია მარჯვეთ და მოხერხებულათ ესროდა გერმანელების თხრილებს. შამპანში პერტის ჩრდილო-დასავლეთით გერმანელებმა ააფეთქეს ნაღმი, რომელსაც დიდი ზიანი არ მოუყენებია ჩვენი სამხედრო სურსათის საწყობებისათვის. არგონებში ჩვენ მრავალგზით ვუშენდით ზარბაზნებს გერმანელების ხაზების სხვადასხვა ნაწილს, განსაკუთრებით იქ, სადაც მოპირდაპირე საფორტო მუშაობას აწარმოებდა. გერმანელების არტილერია სუსტათ გვიპასუხებდა. მაასის მარჯვენა ნაპირზე საარტილერიო სროლა იყო, რასაც ვოკუაში და ეპორჟეში ხელჩართული ბრძოლა

მოჰყვა ხელით სასროლ ყუმბარებითა და გრანატებით.

**ცეტინიე.** 4 ეკენ. გუშინ მტერმა არტილერიის ცეცხლი დაუშინა ჩვენს პოზიციებს. ქვეითა იერიში მოიტანა ჩვენს მოწინავე ჯარზე. მედგარი ბრძოლის შემდეგ ჩვენმა მზვერავებმა მტერი უკუაქციეს.

**ბუქარესტი.** 9 ეკენისთვე. ბულგარეთის წყაროებიდან იტყობინებიან, რომ სერბიის საზღვარზე გერმანელებმა დიდძალ ჯარს მოუყარეს თავი მრავალ რიცხოვანი არტილერიით, რომელიც გადმოტანილია ტარნოვოდან. დაინტერესებული წრეები ირწმუნებიან, რომ, ვითომც გერმანელების ძალა გაცილებით უფრო დიდია სერბიელებისაზე, რაც საეჭვოა. გერმანელების განზრახვაა — გადამწყვეტი იერიში მიიტანონ სერბიაზე და პირდაპირი მიმოსვლა იქონიოს ბულგარეთთან, რომ ბულგარეთის გზებით სამხედრო სურსათი მიაწოდოს ოსმალეთს.

**ათინა.** 9 ეკენ. მდგომარეობა წინანდებურია. მინისტრთა საბჭოს სხდომის შემდეგ, მთავრობამ გადასწყვიტა გუშინ საღამოთი მიიღოს ისეთივე ზომები, როგორც ბულგარეთმა. როგორც სჩანს, მეფესა, ვენიზელოსსა და მთავარ შტაბის შორის სრული სოლიდარობაა.

ბულგარეთიდან ოფიციალური ცნობა საერთო მობილიზაციის შესახებ ჯერ არ მოსულა.

**ბუქარესტი.** 9 ეკენისთვე. „ინდეპადენსრუმენი" იტყობინება, რომ მას ოფიციალური წყაროდან გაუგია, რომ ბულგარეთმა საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადაო

**სტოკჰოლმი.** 9 ეკენ. ბერლინს ატყობინებენ, რომ ზუნდოკის სამხრეთ გასასვლელთა ჩაწყობილია ნაღმები, რომელიც საშიშოა მგზავრობისათვის. საშიშ ადგილების სივრცე განსაზღვრულია გერმანიის მთავრობისგან 5 პუნქტით. ნეიტრალურ სახელმწიფოების გემებმა უნდა იცურონ გერმანიის საყარაულო გემების მიერ ნაჩვენებ გზით.

**ლონდონი.** 9 ეკენ. დანიის გემი „ტორველდსენ"-ი დაიღუპა. ეკიპაჟი გადარჩა.

**სტოკჰოლმი.** 9 ეკ. შვეციიდან ყველის გატანა აკრძალულია.

**სტოკჰოლმი.** გერმანელებისაგან ზუნდოკის სრუტის დალუქვა დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს. დანაღმული ადგილები იმყოფება დანიის ტერიტორიალურ წყლების ახლოს სალტგოლმანის სამხრეთით, სადაც ახლახან დაიღუპა ინგლისის წყალქვეშა ნავი. გერმანიის საყარაულო ფლოტილიამ დიდი ზიანი მიაყენა დანიისა და შვეციის მეთევზეებს, მათი ბადეების გარღვევით.

**პეტროგრადი.** 10 სეკტემბერი. ბარონ დილინგოგაუზენის კასაციური საჩივარი სენატმა უშედეგოთ დასტოვა. ბარონს პეტროგრადის პალატამ მიუსაჯა ერთიწლითა და 3 თვით ციხეში დაპატიმრება თანამდებობის ბოროტათ მოხმარებისათვის.

**ვაშინგტონი.** სტატ სეკრეტარმა ლანსიგმა ხელი მოაწერა რუსეთით საქონლის გატანის შეთახმებას შეერთებულ შტატებში. სამსახურიდან გადადგომის შემდეგ ბრაიანმა ინახულა ბელგიის სახლი, სადაც დარჩა ერთი საათი. ვილსონმა უარყო ცნობების მიცემა შესახებ მათი საუბრისა. ფიქრობენ, რომ ბრაიანი მოგზაურობს ევროპაში ზავის სააგიტაციოთ.

**ათინა.** გრძელდება სასტიკი სროლა ოსმალეთის პოზიციებზე ანაფორტის რაიონში იმ მიზნით, რომ მომზადებულ იქნას უმთავრესი სიმაღლეების აღება გალიპოლის ნახევარ კუნძულზე. ოსმალები მხნეთ იბრძვიან, რადგან იმედი აქვთ გერმანელების კონსტანტინეპოლში ჩამოსვლისა. გერმანელი აფიცრები ამზადებენ ადგილობრივ ჯარის კაცებს იერუსალიმის მიდამოებში.

ზეთის ხილის მთა, სამარა და ბეთლემი სამხედრო მოსამზადებელ ადგილათ გახადეს ოსმალებმა. გოლგოთის მთაზე ოსმალებმა აღმართეს ბატარეია.

**ტოკიო.** დაარსდა კომიტეტი იმ კითხვების გამოსარკვევათ, რომელიც იაპონიამ უნდა წარადგინოს ზავის კონფერენციაზე. დაარსდა აგრეთვე კომიტეტი, რომელმაც უნდა განიხილოს იაპონიის ეკონომიური დამოკიდებულება უცხო სახელმწიფოებთან.

**ლონდონი.** 3 სეკტემბერი. ბარკმა ხანგრძლივათ ითათბირა მაკენთან.

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ბულგარეთში მობილიზაციას ამზადებენო. ამ ცნობამ დიდი შთაბეჭდილება გამოიწვია დიპლომატიურ წრეებში. ჯერ ჯერობით ბულგარეთის ელჩი ირწმუნება, რომ ბულგარეთის მობილიზაცია მხოლოდ შეიარაღებულ ნეიტრალიტეტს წარმოადგენს და სხვა არაფერსო. ბულგარეთს სურს ისეთ მდგომარეობაში იყოს, როგორც მისი მეზობლებია და აგრეთვე, როგორც შვეიცარია და ჰოლანდიაო.

**პარიზი.** 9 სეკტემბერი ოფიციალური. სამხრეთ ჩრდილოეთით არასის მიდამოებში ჩვეულებრივი საარტილერიო სროლით შამპანში სროლა გრძელდება, რამდენსამე პუნქტში მტრის ყარაულებმა სცადეს ჩვენს ხაზებში შემოჭრა, მაგრამ უშედეგოთ, არგონებში არტილერიის ბრძოლამ განსაკუთრებული სასტიკი ხასიათი მიიღო.

**კრემენჩუგი.** 10 ეკენ. აქ მოიყვანეს 290 ბავშვი 5-10 წლამდი, რომელთაც აგზავნიან ხარკოვში ხარკოვის არქიეპისკოპოსის ანტონის მფარველობის ქვეშ. უმრავლესობა ბავშვებისა გალიციის უნიატების მღვდლებისაა, რომელნიც დახოცეს და დაატუსაღეს ავსტრიელებმა ბავშვებთა შორის ბევრი დაჭრილია.

**ნიში.** 9 ეკენ. დუნაის ფრონტიდან გაცხარებულ საარტილერიო სროლის დროს 6 ეკენისთვეს ოთხი საათის განმავლობაში მძიმე საველე ზარბაზნებიდან გამოისროლა 800-მდი ყუმბარა რომელსაც არავითარი ზარალი არ მიუყენებია.

**სტოკჰოლმი** 9 ეკენ. აქაური რუსის კომიტეტი აცხადებს, რომ წერილები არ გაიგზავნოს იმ ადგილებში, რომელიც დაკავებულია მტრისგან. ეს წერილები შენახული იქნება კომიტეტისაგან და პირველ შემთხვევისთანავე გაუგზავნის ადრესატებს.

ბერლინიდან ცნობაა, რომ ბულგარეთის მთავრობამ საყოველთაო მობილიზაციისათვის დანიშნა 8 სეკტემბერი. ბულგარეთის ყველა ქვეშევრდომი, რომელიც კი სამხედრო სამსახურში უნდა გაიწვიონ, ვალდებულია დაუყონებლივ გამგზავროს სამშობლოში ვენის გზით.

**ბუქარესტი.** 9 ეკენ. ბულგარეთით გამოსაზიდ საქონელზე ტრანზიტი მოისპო. ბულგარეთის მთავრობამ დუნაიზე რომანიასთან ჯარის გადასაყვანი ხიდი მოხსნა. ბერდუჟენთან ავსტრიის საზღვარი დაიკეტა. ფიქრობენ, ხვალ დაიკეტება საზღვარი პერემილიასთან, სოფიიდან იტყობინებიან, რომ სამხედრო კომენდანტები დედაგაჩისა და დიმოტიკის დღეს მოაწერენ ხელს, ხელშეკრულობას, რომლის ძალითაც ბულგარეთის მფლობელობაში შევა ოსმალეთის მთავრობისაგან დათმობილი ტერიტორია. ხელშეკრულობას ხელს მოაწერენ დიმოტიკში. ტრაქტატი უკვე მოწონებულია სულთანისა და მეფისაგან

## ომის ამბები.

### ბულგარეთის გამოსვლა.

მკითხველებმა იციან, რომ ამ უკანასკნელ დღეებში ოთხთა შეთანხმებამ ბულგარეთს უკანასკნელი ნოტა წარუდგინა და მას თავის სასარგებლოთ ომში ჩარევა მოთხოვა. ახლა ბულგარეთის დედა ქალაქიდან, სოფიიდან გაზეთებს ამაღელვებელ ამბებს ატყობინებენ; ბულგარეთმა ომში ჩარევის კითხვა უკვე გადაწყვიტა და გამოსასვლელადაც ემზადება, მხოლოდ არა ოთხთა შეთანხმების სასარგებლოთ. სერბიაც ბულგარეთის საზღვრებზე მზადებას შეუდგომია და მეზობელს შესაფერად დახვედრას უპირებს. ფიქრობენ, რომ ბულგარეთი ომს 20 დღის შემდეგ გამოაცხადებსო. (კ. ს.)

### გერმანელები სტამბოლში.

ამ უკანასკნელ დღეებში გერმანელი ჯარის კაცები და აფიცრები თითქმის ყოველ დღე ჯგუფ-ჯგუფად ჩადიან სტამბოლში (ორას-ორასი კაცი) სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილი; რადგან ოსმალეთში გერმანელთა წინააღმდეგ აჯანყების შიში აქვთ, ამიტომ ფრაკიის არტილერია სულ მთლათ გერმანელთ გადაეცა.

### ახალი კონსტრუქციის ცეპელინი.

ერთი ინგლისური გაზეთის გადმოცემით გერმანელებს ახალი ტიპის ცეპელინი დაუმზადებიათ. ეს ცეპელინი წინანდელზე უფრო სწრაფია და მსუბუქი. გარეგანი ფორმით იგი სიგარას კიარ ჰგავს, როგორც შინათ იყო, არამედ თევზს. შინაგანი მოწყობილობა ყველაფერი ლითონისა აქვს და გარედან ვერცხლის ფერისაა.

# ქრონიკა.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

### რუსეთი.

### პეტროგრადის მუშათა ფიცხლად...

პეტროგრადის სამხედრო ოლქის მთავარი უფროსი, გენერალი ფლოროვი აცხადებს:

ზოგი ფაბრიკისა და ქარხნის მუშების გაფიცვის გამო, სადაც სახელმწიფოს დაცვისთვის სამხედრო მასალას ამზადებენ, სამხედრო წესების თანახმათ შემდეგს ვაცხადებ:

1) ყველა მუშები 5 სექტემბერს ნაშადილევს უნდა გამოცხადდენ სამუშაოთ.

2) თუ ამ ბრძანებას არ შეასრულებენ მუშები, იმ შემთხვევაში ქარხნის გამგეობას უფლება ეძლევა მუშებს ანგარიში გაუსწორონ და ქარხანა დახურონ.

3) იმ მუშების ანგარიშის გასასწორებელი ფული, რომლებიც არც სამუშაოს დაუბრუნდებიან და არც ანგარიშის მისაღებათ მოვლენ ქარხანაში, წარმოების პატრონებმა სასამართლოს კასაში უნდა წარმოადგინონ.

4) ყველა ის პირი, ვინც საპატიო მიზეზის დაუსახელებლათ სამუშაოზე არ გამოცხადდება ან გამოცხადდება, მარა სამუშაოს გულით არ შეუდგება, აგრეთვე ისინიც, ვინც რაიმე ისეთ დანაშაულს ჩაიდენს, რომელთა შესახებ ჩემს წინადელ ბრძანებაში ნახსენები მაქვს, ყველანი ჯარების სამხედრო საველე დებულებას 152 და 418 სტ. ძალით სამხედრო საველე სასამართლოს გადაეცემიან.

5) ყველა ის მუშები, რომლებიც მომქმედ ჯარში იყვნენ გაწვეულნი, მარა სამხედრო მასალის საჩქაროთ დამზადებისათვის ქარხნებში იქმნენ დატოვებულნი და რომლებიც ახლა, ზემოხსენებულ მე 4 პუნქტის თანახმათ დამნაშავეთ იქმნებიან ცნობილნი, სასჯელს ომის გათავების შემდეგ მოიხდიან, ახლა კი ისინი მომქმედ ჯარში გაიგზავნებიან.

ყველა ეს ზომები ძალაში დარჩება შემდეგ შემთხვევებისთვისაც ვიდრე ომი არ დასრულდება.

### ქალაქების და ერობათა სიეზდი.

7 სექტემბერს მოსკოვში ქალაქების და ერობათა წარმომადგენლების სიეზდები გაიხსნა. საღამოს სიეზდების შეერთებული სხდომა გაიმართა. სიეზდი სულ 20 ქალაქის წარმომადგენელია.

— სიეზდს აზრათ აქვს რუსეთის მოქალაქეებს მოწოდებით მიმართოს' რომ

## ქართველი გრიგორიანები თფილისში.

(შემდეგი იხ. „სამშ." 173 ნომერი).

დოსითეოს ნეკრესელის და სოლომ. ლეონიძის სიტყვა ოფილისის ქართველთ წინაშე: — ჩვენ ხურსად წავალთ, აქ ვიყოთ, ვნახოთ საქმე, თუ საჭირო იქნეს, მაშინ ვიბრძოლოთ, თუ არა და მაშინ ერთგულება გავუცხადოთ, მივიდეთ, მუხლი მოვიდრიკოთ, თავი დავუკრათ. იქნება მისი გული დაოტდეს, ქალაქის აკლება დასტოვოს. ჩვენც ყოველივე ძლვნად მივართვათ მთელი ჩვენი ქონება და განძეულობა. იმედია, ისიც შევა ჩვენს სიმართლეში, გულ ალვსილი დაგვანებებს თავს და ისევ უკან გაბრუნდება. ეს მე კარგად ვიცი, რადგანაც მას თფილისში დარჩენა კი არ სურს, არამედ აკლება და მოსპობა მისი. ჩვენ რაკი ერთგულებათ დავუხვდებით და რუსთაგანაც თავს შორს დავიჭერთ, ისიც ირწმუნებს ამას და ჩვენც პატივს გვცემს.

ამ სიტყვას ამბობდა, როგორც ს. ლეონიძე, ისევე დოსითეოზ ნეკრესელი. მტრის წინაშე ამათი დაწყობილება ასე იყო. მაგრამ დაწყობილება ვერ აღსრულდა, თფილისის გარშემო მდგომი მტერი კინაღამ დასძილეს, კინაღამ უკუ აგდეს. შინაურ გამცემთ, რომ არ მიეცათ ცნობა, შეიძლება, რომ მტერი გაექცევბიათ. მაგრამ შინაურ გამცემთა ცნობით ისარგებლა მან, მაშველი ჯარი მალე მოაშველა, ქართველთა ძალა ყოველ კუთხივ დასცა. მეფე და მის მსგავსნი განერინენ მთიულეთისაკენ. უცბათ მტერი თფილისს ეცა. მტერმა თფილისელთ წადილი არ იცოდა. ამათ მალე შემოსილი დოსითეოსი მიაგებეს და აუწყეს თვისი მორჩილება და ერთგულება, მაგრამ მტერმა აღარა შეისმინა რა. აღამაჰმადხანმა დოსითეოს მიუგო:

— ჩვენს ძველებს უთქვამთ, რომ ქართველები კაცის მჭამლები არიანო, დასტურ თქვენ ნამდვილ კაცის მჭამლები ხართ, ამიტომ კაცის მჭამლებს მოსპობა უნდა. მე არამც თუ ქართველ კაცს, არამედ სიტყვა ქართველსაც არ დავსტოვებ აქ სახსენებლად.

ამ სიტყვის შემდეგ დოსითეოსი ავლაბრის ხიდიდან მტკვარში გადააგდეს, მიჰყვნენ თფილისს და დაუწყეს ხალხს ხოცვა და დატყვევება. პირველ წამს ომი გაიმართა და ქართველნი პირის-პირ შეებნენ, მაგრამ რაკი ხსნა აღარ იყო და სპარსნი სჯობნიდნენ, ამიტომ ომს თავი გაანებეს და მორჩილება იწყეს. დამორჩილებულთ დაპატიმრება დაუწყეს და გამოკითხვა იმისა, თუ იგინი ვინ იყვნენ ტომით. ყველა მუშა, ხელოსანი და ვაჭარიც უუბნებოდა, რომ მე სომეხი ვარო. ხშირად იგი ამისათვის იმოწმებდა იქ მყოფ სომხის მღვდელს, ან ვინმე ასეთ პირს და ამით ელოდა ხსნას, თორემ ქართველებს ისეთი შიში მიეცათ, რომ ვაი თუ მეფე ერეკლეს და რუსების ჯავრით ჩვენ ყველას თავები დაგვჭრასო. ერთადერთი ამათი ხსნა და იმედი იყო ქართველობის დამალვა, თავის უარის ყოფა.

ამ გვარად, მართლაც, დიდმა ნაწილმა ქართველთა რიცხვმა თავი მშვიდობით გადაირჩინა; ეს გარემოება, რასაკვირველია, კარგი მოხერხება იყო.

მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ იგი როდი იყო ქამიერი და წუთიერი; რაკი ერთხელ რომელიმე ქართველმა თავი სომხათ აღიარა, რა-კი იგი ქართველობის ტარებით შიშის მეტს ვერას ნახავდა, ამიტომ სომხის წოდების შემდეგ, მართლაც თავი სომხად ჩასთვალა და როგორც სიტყვიერად, ისევე სულიერად, სომხის ეკლესიასაც მიეკედლა და მის მრევლად დარჩა. ასეთ ქართველთა რიცხვი მაშინ ცოტა არ იყო, მათი რიცხვი დიდი იყო და მასთან ისეთის ქართველ მოქალაქეებისა და ხელოსნების, რომელთაც სომხის მღვდელებთან ნათელ-მირონობა და ნათესაობაც ჰქონდათ.

მერე მაშინ ასე იყო, რომ ყოველთვის შვილი მამის სჯულზე ინათლებოდა. ამიტომ სომეხნი ხშირად ირთავდნენ ქართველ ქალებს და ამის გამო ნათესაობაც ხშირი იყო მათში. ყველა ესეც, რასაკვირველია, ქართველებს უადვილებდა თავის ვინაობის სომხათ აღიარებას, ასეთი აღიარება კიდევ საზარი იყო, როგორც სომხის ეკლესიის მაღიარებელთა გამრავლებისა, ისევე სომხის გვარის წევრთა გაძლიერებისა საქართველოში. ეს გარემოება ორნაირად ემსახურებოდა მათ ინტერესებს და ქართველ გვარს კი, რასაკვირველია, ამით დიდი მსხვერპლის შეწირვა მოსდიოდა.

ასეთს შიშის თავზარ დამცემ გარემოებაში იყო მოთავსებული ქართველი გვარის საქმე იმ დროს, როცა, აღა მაჰმადხანის ბძანებით, თფილისი ოთხივე კუთხით იწოდა, თვით აღა მაჰმად-ხანიც ჯვარის მამის ზემოთ, მელიქიანთ სახლის ბანზე იჯდა და დურბინდით უყურებდა აქეთ-იქით, თუ როგორ იწოდა თფილისი. დაიწვა ქალაქი თფილისი, ყველაფერი მოისპო ისე, რომ მასში მხოლოდ რამდენიმე სახლი დარჩა დაუწვავი და დაუნგრეველი და ზოგიც კიდევ საყდარი. ქალაქის გაქრობასთან, გაქრა თვით თფილისის ქართველობაც, ერთი ნაწილი ამათი ომში გასწყდა და ვინც დარჩა, ისიც მტერმა ტყვეთ წაიყვანა. ამ წაყვანილებში ერივნენ არა მარტო ქართველნი, არამედ სომეხნი და კათოლიკენიც, მაგრამ სათქმელია ისიც, რომ თვით ქართველნიც თავის თავს სომხათ აღიარებდნენ.

რადგანაც შიშით იყო ყველანი გარემოცული, ვინაიდან მტერი მათ სპარსეთში გარეკას უპირებდა. ისტორიით ვიცით, რომ მათი რიცხვი 30 ათასი იყო ორივე სქესის, მათ ეშინოდათ, ვაი თუ ქართველობის გამო ჩვენ იქ დაგვხოცავენ, ხოლო, თუ არ დაგვხოცეს, სულ ერთია ასე არ დაგვტოვებენ, და გაგვათათრებენო, ამიტომ უმჯობესია ყოველგვარი უბედურების თავიდან ასაცილებლით აქედანვე თავი სომხათ აღვიაროთო. იმ გარემოებას ისინი მით უფრო ეტრფოდენ ადვილად, რადგანაც თვით ხედავდენ თავისი თვალით. თვით სპარსთა მთავრობაც ასე უყურებდა მათ და ყველა ქართველს სომხათ სთვლიდა.

მტერმა დაასრულა თავისი საქმე. ამის შემდეგ დაიწყო მზადება სპარსეთში დაბრუნების, მალეც დაბრუნდა და თან დატყვევებული ქართველობაც წაიყვანა. ზოგი მათგანი გზაში მოკვდა, ზოგი სპარსეთში ყოფნას ვერ შეეთვისა, ვერ აიტანა ტყვეობა, სიღარიბე, სილატაკე, ნათესავთა მოშორება, ცოლშვილის დაკარგვა და ათასიც სხვა გაჭირება და მოისპო. ასე რომ 30 ათასს ქართველებში სპარსეთში 5 ათასიც აღარ დარჩა. სამი წლის განმავლობაში იგინი სულ გადაგვარდნენ, ამგვარათ 1795 წ. ქალაქ თფილისში მოისპო 30 ათასზედ მეტი ქართველი ხელოსნები, მუშები, ვაჭრები და სოვდაგრები. ამ რიცხვს რომ დააკვირდეთ თქვენ იმ დროის კვალად, იგი მცირე რიცხვი არ არის. ამ გარემოების წყალობით ქალაქში უცბათ გაქრა ქართველ ხელოსანთა და ვაჭართა რიცხვი, გაქრა ისე, რომ, როგორც ზემოთაც ვსთქვით, ქართველთაგან სულ ხუთიოდე მოქალაქის გვარიღა დარჩა, რომელთა შთამომავალნიც დღესაც ცხოვრობენ თფილისში.

დანარჩენი სულ მტრის მახვილმა მოსპო. ვინც დარჩნენ, ისინიც თავისი ნებით თუ უნებლიეთ ზოგი სპარსეთში მოისპო, ზოგი გზაში, ზოგიც სომხობას მიეკედლა, ასეთ ქართველთა რიცხვი მცირე არ ყოფილა, ქართველ ვაჭრებსა და ხელოსნებს გარდა თვით ქართველთ დიდებულნი, მეფენი, მთავარნი და თავადიშვილებიც კი დადიოდნენ სომხის საყდარში, იქ ეზიარებოდნენ, იქ ქორწინობდნენ და ყმაწვილებსაც ნათლავდენ ხოლმე; ასე იყო თვით ალექსანდრე ბატონიშვილიც, მან ეჩმიაძინის ეკლესიაში დაიწერა ჯვარი. დასაფლავებულია სომხის ეკლესიის კარის შესავალში. ამის მორიდება მათ არ ჰქონდათ, რადგანაც ყველა ქრისტიანები ვართო, ოღონდ თათრები არ ვიყოთ, თორემ სხვა ჯული სულ ერთი არისო.

ცნობები არის დარჩენილი, რომ ყეინმა თფილისიდამ ქართველები ჩარეკა სპარსეთში, სადაც დარჩენ. ზოგი ამათგანი დახსნილ იქნენ ქართველთა მეფის ფულით, ზოგი სომეხთა ეჩმიაძინმაც დაიხსნა. იგინი აუცილებლად როცა სომხის სჯულის უნდა ყოფილიყვნენ. სპარსეთში ყოფილმა ტყვეებმა შეიტყეს, რომ ეჩმიაძინიც გვიხსნის შაჰისაგანო, ყველა მათგანი ჰყვიროდა, რომ მე სომეხი ვარო. ამ გარემოებითაც დახსნილ იქნა ეჩმიაძინისაგან და მის შემდეგ გაათავისუფლებული. ასეთ დახსნილთ გარდა, ეჩმიაძინმა 800 თუმანი მეფე ერეკლესაც ასესხა ტყვეების დასახსნელად. ჩვენ ამის გამო ეჩმიაძინს უმადლით კიდეც. იგინი იხსნიდენ თავის ეკლესიის შვილთ, თუ ვინმე ატყუებდა და ამბობდა სომეხი ვარო, ეს ხომ მათი ბრალი არ იყო, ეს გარემოებისა და პირობების საქმე იყო. ასე რომ ამ გარემოებითაც დიდი რიცხვი იქნა მიკედლებული სომხის ეკლესიაზე. გარდა ამისა, ჩვენ ვიცით ისტორიულად შემდეგიც:

ტყვენი სპარსეთში დარჩნენ, ზოგი დახსნილ იქნენ 1795 წ. ბოლოს, ზოგი 1796 წ. ზოგნიც 1797 წ. ამ ხნის განმავლობაში ყველა ესენი დაიარებოდნენ სპარსეთის სომხთა ეკლესიებში და იქ იღებდნენ ყოველივე საეკლესიო ლოცვა-კურთხევას და მასთან სომხათ წოდებასაც ადვილათ ეჩვეოდნენ. ასეთ ქართველთა რიცხვიც დიდი იყო სპარსეთში, 30 ათასიდან საქართველოში 5000 ათასი თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდაპირველად და სიმშვიდე დაილევა, რადგან ამ აზრით ყოველივე არეულობა მტრის სასარგებლოთ იქნება.

— გუჩკოვი, მილიუკოვი და თ. ტრუბეცკოი სიტყვით წინადადებას აძლევენ, რომ მან უმაღლეს მთავრობას პირდაპირ მიმართოს.

— ტოლმაჩევის ლადერს, დეპ. კარინსკის, სიტყვამ სხდომაზე მონაწილეობის მიღების ნება არ მისცა, იმ მიზეზით, რომ მას რომელიმე ქალაქის ან ერობის რწმუნებულობის დოკუმენტი თან არ ჰქონდა.

— სიტყვა თავმჯდომარეობს მოსკოვის ქალაქის თავი, ჩელნოკოვი.

ჩელნოკოვის, ასტროვის, ნეკრასოვის, ალექ. გუჩკოვის, შინგარევის და სხვების, სიტყვების შემდეგ სხდომამ მიიღო ლოზუნგი: გამოცხადებულ მთავრობის და [illegible] სათათბიროს. [illegible] ლოზუნგს მიემხრო ერობათა სიუზდიც. [illegible] დარწმუნებული, რომ ხელმწიფე იმპერატორის განსაკუთრებული სხვანაირი დელეგაცია გაუგზავნონ.

**სათათბიროს დათხოვის გამო.**

მოსკოვის ოქტომბრისტების ცენტრალურმა კომიტეტმა ა. გუჩკოვის სიტყვის შემდეგ რეზოლუცია გამოიტანა, რომლის პირველი ნაწილი ახლანდელ მომენტის სამწვავე მდგომარეობას გვიხატავს: [illegible] მთავრობა ამ მომენტში მთავრობამ მთელი რუსეთი; მხოლოდ მთავრობა დარჩა მის გარეთ! ამიტომაც მისი ერთად ერთი პასუხი სათათბიროს დათხოვნა უნდა ყოფილიყო. ამის გამო 17 ოქტომბრის კავშირს შემდეგი რეზოლუცია გამოაქვს: სამშობლოს ინტერესი მოითხოვს, რომ სამთავრობო [illegible] იყოს, რომელსაც ქვეყანა ნდობას უცხადებდეს; [illegible] სამთავრობო დრო მთავრობის სათათბიროს სხდომებში; [illegible] სათათბიროს ბლოკის თანაგრძნობას უცხადებს, და უსურვებს, რომ იგი ქვეყნის დამშვიდებულ ორგანიზაცია გახდეს. [illegible] ისინი, რომელთაც ჯერ კიდევ მოქმედების ხელი არ შეუშლიათ [illegible] საზოგადოებრივი მუშაობით უფრო ძლიერი, რუსეთი დამარცხებული უნდა იქნეს; ისინი რუსეთის ერთიანი მედგარ აზრს იცავენ, **თითქმის რუსეთი შინაურ უწესრიგობას და მოუწყობლობას გამო მტერთან ბრძოლა ვერ შეეძლო.** (კ. ს.)

სათათბიროს დათხოვის გამო გამოცხადებული მუშათა გაფიცვა მოსკოვში 7 სექტემბერს დასრულდა. ამ დღეს საერთოდ გაზეთი გარდა სხვა გაზეთი არ გამოსულა. ტრამვაი საღამომდე შეჩერებული იყო. მისი მოძრაობა მხოლოდ საღამოს განახლდა. ამ დღეს ქუჩებში მოსკოვის ქალაქის სამმართველოს განცხადება გაიკრა შემდეგი სათაურით: „მოსკოვის საბჭოს განცხადება". „ისეთი შემთხვევა პირველია"... (კ. ს.)

# ახალი ამბავი.

**ქუთაისი.**

✦ საზამთრო მონ-პელზირში დღეს, 12 სექტემბერს ნაჩვენები იქნება საინტერესო ახალი სურათები, საქველმოქმედო მიზნით.

იმედია, ჩვენი საზოგადოება ბლომად დაესწრება ამ საღამოს.

✦ ქუთაისში ახლად დაარსებულ „სინათლის" საზოგადოების ქალთა საოსტატო-ანბანური ქართული გიმნაზიის კურთხევა მოხდება 14 სექტემბერს, დილის 12 საათზე, სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს.

✦ კავკასიის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის წინადადებით მისცა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს გამგეობამ, რომ მან არჩიონ 2 წარმომადგენელი კომიტეტის შემადგენლობისათვის.

✦ „სინათლის" საზოგადოების გადაწყვეტილებით ახლად დაარსებულ ქალთა ქართულ გიმნაზიის საკუთარ შენობის ასაგებათ შეიძინა საქველმოქმედო საზოგადოების კუთვნილი მიწა საგზაოს ქუჩაზე ქართულ გიმნაზიის მახლობლად.

✦ ამ თვის ბოლო რიცხვებში მოხდება სათავადო აზნაურო მიწიერის საიდგან, ფრანგულ საზოგადოება მარნეულის მამულის ბანკის მამულების „შემოსავალის" გარეშე.

✦ ახალგაზდა მომღერალის ვარდენ ლორთქიფანიძის კონცერტი, რომელიც უნდა შემდგარიყო 14 სექტემბერს ქალაქის თეატრში სხვა და სხვა მიზეზებისათვის გადაიდო 19 ენკენისთვისათვის.

✦ ქუთაისის სათავად-აზნაურო ვაჟთა ქართულ გიმნაზიაში მასწავლებლათ მოწვეულ იქნენ აკაკი ფილია და ტრ. ხუნდაძე.

✦ დღეს საზოგადო საკრებულოს დარბაზში იმართება საოჯახო საღამო. შემოსავალი 10 პროც. გადადებული იქნება დაჭრილ მეომართა სასარგებლოთ.

✦ სოფლად რუსეთის საბჭოს ორგანიზაციის სიახლე შავი ქვის მრეწველთა საბჭოს შემადგენლობის ორგანიზაციის შემადგენლობაში და მონაწილეობის მიიღოს ვაჭართა-მრეწველთა და მეურნეობათა დაგეგმვისათვის და სხვა კითხვის გადაწყვეტა.

✦ სამხედრო სკოლის დარბაზში სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებამ ქ. 12 ენკენისთვეს, გამოხატვისას სომეხ ბავშვების სასარგებლოთ გამართული იქნება მუსიკალურ-ლიტერატურული საღამო. წარ. მოდგენილ იქნება: ერთ. მოქ. ვოდევილი სომხურ ენაზე, „შავი მაგიდა ყოფილი", ქართულს და რუსულ ენაზე „თილისმა".

✦ მიხეილ დ. ჩარკვიანის, ა. მურუსიძის და სხვების მონაწილეობით დღეს, 12 სექტემბერს, ქალაქის თეატრში გამართება წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება პიესა ცეკვები ... მოქმედებიანი ისტორიული დრამა „ქართველი დედა."

✦ სოფ. ზემო სურებში (გურია) 8 ენკენისთვეს დილით ადრე დაიხრჩო ჯარის კაცის ცოლმა ირინე ლომთათიძემ სახლის ქალი ვერ გადაუტანია ქმრის საყვარელი, რომელიც გარდაიცვალა კავკასიის ფრონტზე.

✦ ხუთშაბათს, 10 ენკენისთვეს ქალაქის თეატრში გამართა ლიტერატურულ-დრამატიული საღამო, საღამოს ხალხი საკმაოდ დაესწრო. მოხ. წულუკიძემ წაიკითხა ლექსი ვაჟა-ფშაველას შესახებ რომლიც კარგად მოიწონა. ლიტერატურული ნაწილის შემდეგ წარმოდგენილ იქნა ა. ცაგარლის პიესა „ოლიას ალიარება". თავიანთი ნაწარმოებნი წაიკითხეს: გალაქტიონ ტაბიძემ, ვ. რუხაძემ, მ. ლაღიძემ, ლადო მესხიშვილმა, ი. ნონეშვილმა, ვ. ქაშაკიძე და ნ უზნაძე.

კეთილი ისეთ ამბავზე მოხდენილია წაიკითხა ი. ეუგენიძემ. იგი რამდენჯერმე გამოიწვია საზოგადოებამ.

იქნა დაბრუნებული, თორემ დანარჩენი სულ იქ დარჩნენ და დაიფანტნენ მარკვნის და მარკენის, ისინი მოისპნენ როგორც ზოგიერთ ქვეყნებიდან, ისე საზოგადოება მოისპნენ შემოსულ ზოგიერთ ერის ძლიერებისაგან. ზოგი ხოცავდა ან ათასი ადათ-წესები, ... რადგან თქვენი და ჩვენი ... ქვეყნის და გლეხებს და ავადმყოფი ერისთვის და საჭიროებით იძულებულნი ჩამოვიდნენ და ასე ჩვენ ... ჩვენიც იქნებიან ... რომელთაც იქ და საჭიროდ თავისი, ანუ ვინაობისაც სომხეთ ... დაიწყო სომხური სალოცავი.

ისიც ვიცით, რომ ამდროის ტყვეთა ზოგი და [illegible] დატოვებაში სხვა და სხვა მათ წესებს [illegible] სამისიონერო კათოლიკური ფრონტი და ზოგიერთი სხვა ... ბნეული ... მოეწყო ... მიტოპებმა ... და რომ რწმენის და ძალა რომელიც ... საბრძოლველად ... სარწმუნოება ... სომხები ... ქართველებს და ... ძალით ... თავის ... ოჯახში ... ერთად ...

[illegible]

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება.)

## ხუცური ანბანი.

(იხ. „საქართველო" №3—4.)

წერილიდან „საქართველო"-ს ზემოთ დასახელებულ ნომრებში მოთავსებული ბატ. გ.—ზიანის წერილი: „მეზავრის შენიშვნები" და სავსებით გვიზიარე პატივცემული ავტორის წერილ კითხვება, მის მიერ თვალით ნახულის და გაგონილზე.

მაგრამ ამაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, ვინაიდან ჩვენი წერილის საგანი ამ ქამად ეს არ შეადგენს. მე მხოლოდ მინდა ერთი შენიშვნა მივსცე ბატ. გ.—ზიანს, როგორც ქართველ სამღვდელო პირს, ისე მთელ ქართველ ერის საყურადღებოთ. თურმე ბ. გ.—ზიანი თავისი თანამგზავრით რომ მისულა მონუმენტის ხევის მონასტერში, მოუწყალი ჩვენი ბედით მონასტრის დათვალიერება, მაგრამ რუსის მონაზონის (150 მეტი რუსის მონაზონი ყოფილა) რომ ვერაფერი რიგიანათ ვერ აჲხსნა, მთთვის, გაკვირვებულ მის თანამგზავრს უკითხავს მისთვის: „ამდენ მონაზონებში, ნუ თუ ერთი არ არის ქართველი"? — ხუცური კითხვა არ ვიცი და წარწერები ამაზე ხსნა!... მოვიყვან იქვე თვით ავტორის სიტყვებს: „ეს რუსის მონაზონი, ცოტა არ იყოს გამწყრალი კილოთი შეგვეპასუხა და მოიფიქრა მოხუცებული ქალი, — „ის თუ ვიცით, ქართველი მონაზონი, მაგრამ ამან არაფერი არ იცის რათა, — მიაძინა მომღვთნელი. ქართველი მონაზონი მოვაკვლიეთ, ჩვენი ყველაზე, სოფლელი ღარიბი ქართველი მოხუცებული ... ზოგიერთი მოგვიყვა ისტორია ... უნდა გვეფიქრა. მან მხოლოდ ეს გვამცნო, რომ აქ არქიელი მობრძანდა და ბრძანა, რუსის მონაზვნები ნაცვლად უსათუოდ აქ ქართველი მონაზვნები უნდა იყვნენო. ქართველი მონაზონნი გაიფიქრეთ წმიდა ნინოს საყდრის მხოლოდ ისინი უნდა ემსახურებოდნენ. ამის იქნებოდა მაქვსო. მე ვიფიქრე, მაგრამ, რომ როგორმე მივსწვდე ამ ღვთის ნდობას, რომ ქართველების დაუშრობელ ეს წმინდა სავალ[?]ლო—ღვთისა მოხუცებული ქართველის მონაზონის ... ხევის ჭედის საყდარი..."

ამის შესახებ აქ სიტყვა უნდა შევსწყვიტოთ, რადგან ამ ერთი საუკუნის განმავლობაში განა ერთი და ორი ქართული სავანე გადაიქცა სხვერად სატირალათ?!.. განა ესეც შედი არ მოელის წმინდა ღმერთის სავანესაც, მერე და მერე, როდესაც ჩვენი შვილები ზურმათ შეწირავენ ჩვენ სულ სხვას მოველოდეთ?!..

მე მინდა ამ ქამად ხაზი გაუსვა პატივცემული ავტორის ბ. გ—ზიანის და მისი თანამგზავრის ხუცურ კითხვას არცოდნას, რადგან ერთ უმთავრეს და მოუცილებელ ჩვენს ნაკლს დასათვალისწინებლის უნდა ჩავთვალოთ ქართველ ინტელიგენტს.

ხუცური ანბანი ქართველებს აქვთ ძველთაგანვე ყველა საეკლესიო წიგნი დაბეჭდილი, რომელთაც, ძველთ ქართული სტამბის დაარსებიდან ხელნაწერებით ვრცელდებოდნენ ჩვენს ეკლესია—მონასტერში, მერე კი—სტამბის საშუალებით. ბევრმა თუ გამოუყვანეთ ენებიდან დიდის ხელოვნებით და ნიჭით სთარგმნეს ქართულ ენაზე იოანენ-ფვილეისგან და გიორგი მთაწმიდელები და მათ შეგვიანა ჩვენთვის წმიდა მამების და გადმოუწერეს ჩვენ მაშ მოსაცილ ბაგაის ქართველების. მთელი მამაჩემი ... საღვდელოები და ... ჩვენი წინაპრების ... სახელისთვის. ჩვენ კი, ჩვენდა სასახელოსთეს, ისე დავცენით, რომ ერთი დაფუძნებულის ენისაკენ ძირს მოვაპირდით, რისგან ტკბილი ჩვენი ... ერის გამოცემ ახალადელი ... მეფობენ, რისაც ერთი იღებს, ... თუ სხვაგან გადაზიდა მიჩვნია და ... დელეგაცია ... მიღება, მიუყვანია ... ენა გეხობები და ... სავსეს ... დაკრავენ ... რაოდენ ... სიტყვის ... ერთმა ... და მათ სახლეს იქვე ... ჭეშმარიტი ... ლ ... საყურადღებოთ? ... ამ დედას ... რომ არ ... ყოველი და ... ჩვენი ... ბრიყვი ... გამოგზაუროთ ...

მაგრამ ამას თარგმნი ვერც სრავ, რომ ჩვენს სახელოვან ძველ წინაპართა ნაანდერძევ უპმაღლესი ქართული ენით შექმნილ საეკლესიო წიგნების ბოლოს მოვითხვრეთ! ... რომ მათ თუ შეჩერებით ... თუ ქვეყანა ... და მის კითხვას არ ეუკარისობლით?!.. ან და შეიძლება ქართველ ზოგიერთ სწავლულს ჰგონია, რომ საეკლესიო წიგნების კითხვა მხოლოდ მღვდელ-დიაკვნების საქმეა და სხვა არავის?! რაიცა ჩვენს ფიქრით, დიდ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს, შეიძლება ჯერეთ არც კი იციან ჩვენმა

ახალმა მწერლებმა, რომ მათ ნაწარმოებ მოთხრობებს, თუ ლექს—პოემებს ფერ უმარული აკლიათ, სწორეთ, სწორეთ იმით, რომ მათ ჯეროვნათ არ შეუსწავლიათ ძველი ქართული ენა, რომელიც სავსებით გამოიხატება ჩვენს საეკლესიო წიგნებში! ან და შეიძლება, რომ მათ ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევიათ ჩვენი სიამაყე, ქართველთა ერის მეცხრამეტე საუკუნის გუმბერაზ მწერლების— აკაკი და ილიას ნაწარმოებისათვის, თუ რამ გახადა მათი ნაწარმოები სანეტარო მიმზიდველათ და სათაყვანებლათ?! რამ და ღრმათ შესწავლამ ძველი ქართული ენისა საეკლესიო წიგნების საშუალებით. (იხილეთ მათი ბიოგრაფიები). ან და რომელი თანამედროვე ლექსები შეედრება წინასარმეტყველი დავითის ფსალმუნებს, ან და სოლომონ ბრძნის ქებათა-ქებას და საერთოთ კი უმაგალითო ენით ნათარგმნ ძველ თუ ახალ საეკლესიო სასულიერო ღვთის მეტყველებას?.. წაიკითხეთ ქართველი წმინდანების ქებათა— საგალობელნი გულვანებ—თვენის სადღესასწაულოებში და დარწმუნდებით ამ სიტყვების სინამდვილეში. დროა, ბატონებო უკუ ვაგდოთ ცალ მხრივ შეხედულება ამ ფრიად, ჩვენთვის—ქართველებისათვის, საჭირო საქმეზე და ჩვენი ძველი თუ ახალი თაობა ქარბათ დაეწაფოს ძველი ქართული ენის შესწავლას საეკლესიო წიგნების საშუალებით. ეს მით უფრო საჭიროა, განსაკუთრებით იმათთვის, რომელთაც აინტერესებთ სამშობლო ისტორიის შესწავლა, რადგან ქართული ძველი სიგელ-გუჯრები და საერთოთ მრავალი საისტორიო უსაჭიროესი მასალები ჩვენს ძველ ნაშთებზე უმეტეს წილათ ხუცური ანბანით არიან დაწერილნი.

უველაზე მეტი ყურადღება და პასუხის გებაც ამ შემთხვევაში მოეთხოვება ქართველ სამღვდელოებას, ვინაიდან ისინი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ თავიანთი შვილების ქართულ საეკლესიო წიგნების შესწავლას, რის ბრალობითაც მათი შვილების მეასედმა არ იცის მათი კითხვა. ამ ბოლო ხანებში მაინც ზოგიერთმა სამღვდელო პირმა მოდათ შემოიღეს, რომ თავიანთ შვილებს საეკლესიო წიგნების კითხვა ასწავლონ მხოლოდ იმათ, რომელიც საეკლესიო სამსახურისათვის უნდათ; დანარჩენებისათვის მის შესწავლას ზედმეტ ბარგათ სთვლიან, რითაც დიდს შეცდომას ჩადიან. ეს კი არა და, ზოგიერთი სამღვდელო პირთაგანი თავის შვილებს სხვა და სხვა ხარისხებათ ჰყოფენ. რომლებიც მათი შვილებთაგანი სწავლაში საკმო ნიჭს გამოიჩენენ, იმათ საერო სასწავლებლებში აძლევენ და საერო სამსახურის კარიერისთვის ამზადებენ და, იმათ კი, რომელთაც ნიჭს ვერ შეატყობენ, საეკლესიო სამსახურისათვის ამზადებენ, რა და, საეკლესიო სამსახურის მიღებას უნიჭობა მაინც არას დაუშლისო!.. ეს კი ავიწყდებათ მათ, რომ ერისათვის კარგი მღვდელთ-მოძღვრები ისეთივე საჭირონი არიან, როგორც საერო ასპარეზზე კარგი მომუშავენი, ნამეტნავათ, ახლა, როდესაც სარწმუნოებრივი საკითხი სათამაშო ბურთათ გამხდარა, როგორც მაღალ, ისე დაბალ სფეროებში.

მღვდ.. ვლად. მაჭარაშვილი.

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

[illegible]

# ვსთხოვთ ხელის მომწერლებს

დააჩქარონ ხელის ფულის გამოგზავნა.

## მასწავლებელთა საყურადღებოთ.

როგორც პრესაში იყო აღნიშნული, დაბა ჩოხატაურში 9, 10 და 11 სექტემბერს უნდა მომხდარიყო ჩოხატაურის რაიონის მასწავლებელთა კრება, დაგზავნეს მოწერილობა, რომ კრებაზე მასწავლებლები მოსულიყვნენ და ვისაც სურდა მოხსენებაც წაეკითხა. როგორც კი მიიღეს მოწერილობა ინსპექტორისაგან, მასწავლებლები, სამზადისს შეუდგნენ: მოილაპარაკეს წინასწარ და გაანაწილეს ერთმანეთ შორის კითხვები, რომელზედაც უნდა წაეკითხათ მოხსენება. მაგრამ დახეთ უბედურებას: უეცრათ ვღებულობთ ცნობას, რომ ჩოხატაურში კრება არ შესდგება და ნაცვლათ ამისა მასწავლებლებს ქ. ბათომში იბარებენ, სადაც უნდა გაიმართოს ჩოხატაურში განძრახული კრება. ამ რიგათ მასწავლებელთა უმრავლესობას წაართვეს საშუალობა, რომ კრებაზე დასწრებოდა და გაეგო, თუ რა ხდებოდა იქ, (ყველას კარგათ მოეხსენება სოფლის მასწავლებლების მატერიალური მდგომარეობა: მას არა აქვს საშვალება. არა თუ ასეთი ხარჯების გაწევის, მიუცილებელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაც კი და როგორ გინდათ ასეთ მდგომარეობაში მყოფმა ადამიანმა კრებაზე დასასწრებლათ 20 და 25 მანეთი გაიღოს თუ გინდ ეს მისი სულიერი მოთხოვნილებაც იყოს. ამბობენ, მასწავლებლებს გზის ფულს და ხარჯისაც აძლევენო, მაგრამ საჭკარაა, რომ იქ აღებული გროშები ძლიერ მცირე იქნება და იმის იმედით დარჩენა არავის შეუძლია. ამრიგათ სიეზდზე ძლიერ ცოტა დაესწრება, რაც სამწუხაროა. სასურველი იყო კრებაზე მასწავლებელთა უმრავლესობა ყოფილიყო, რაც შესაძლებელი იყო მაშინ, რომ ბ. ინსპექტორს თავისი დაპირება შეესრულებინა და კრება საჭირო და სასურველ ალაგას გ/ემართა. მაგ-

რამ რა უყოთ ეს პირველი მაგალითი არ არის მასწავლებლების აზუჩათ აგდებისა. ჩვენ ყველა დაბალ ღობეთ გვთლის, ჩვენიმოტყუილება ყველას ეპატიება, რადგანაც მუნჯები ვართ-დაქსაქსულნი, არ არის ჩვენში სოლიდარობა, შეთანხმებული მუშაობა, არა გვაქვს კავშირი და არ შეგვიძლია ჩვენი უფლებები მოვითხოვოთ; ამიტომაც არის საჭირო საღათას ძილს თავი დავაღწიოთ, ხელი-ხელს ჩავკიდოთ და განვახორციელოთ იმ კავშირის დაარსების სურვილები, რაც კარგა ხანია მომწიფებულა და დღეს თუ ხვალ მისი განხორციელება მიუცილებელი საჭიროა, რომ თავიდან ავიცილოთ ის დამცირება და პიროვნების გათელვა, რომელსაც დღემდი სულგრძელობით ვითმენთ. კმარა, გულ ხელ-დაკრეფით ჯდომა, კმარა სიჩუმე!

რაც შეეხება განზრახულ კრებას, ის ვეცადოთ სასარგებლოთ გამოვიყენოთ, თუმცა, დიდი რომ, როგორც გადმომცეს დამსწრეებმა, არც იქ გაკეთდება. კრება მასწავლებლებს მაშინ მოუტანს სარგებლობას, როდესაც იქ კამათი იქნება გახსნილი საჭირ-ბოროტო კითხვებზე და თითოულ წევრს შეეძლება თავისი აზრი გამოსთქვას, თავისი ტკივილები დამსწრეებს გაუზიაროს. ასეთი კრებაზედ როგორც გადმომცეს—არაფერი ხდება. საჭიროა, თუ მოსაზრებული დარჩა, კრებას ასეთი მიმართულება მივსცეთ და მოვითხოვოთ კითხვებზე კამათის გამართვა. გულს ნუ გავიტეხთ! დავესწროთ კრებას!

**ს. ბ-ძე.**

# პროვინციის ცხოვრება.

**ტობანიერის საკრედიტო ამხანაგობა.**

ტობანიერის საკრედიტო ამხანაგობა სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს აქაურ კულტურულ დაწესებულებების პირველ მერცხლად, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სამკითხველოს, რომელიც ხსენებულ ამხანაგობის გახსნის ორი წლის წინათ დაარსდა, მაგრამ ისევ მალე დაიხურა და მხოლოდ ეხლახან განაახლა თავისი მოქმედება, რაიც „საქართველოს“ № 65-ში გვქონდა მოხსენებული.

ხსენებული საკრედიტო ამხანგობა დაარსდა ექვს აგვისტოს 1912 წლისა ადგილობრივ მღვდლის ს. კაკალიძის მეოხებით, რომლის თაოსნობითაც განაგრძობს ის დღესაც მოქმედებას. ასე რომ მდგომარე წლის 6 აგვისტოს შეუსრულდა ხსენებულ ამხანაგობას თავისი არსებობის სამი წლითავადი. თავდაპირველად დამაარსებელთა რიცხვი უდრიდა 35 კაცს, ეხლა კი წევრთა რიცხვი უდრის 243 20,610 მანეთის ნდობით. ძირითად თანხათ, გრძელვადიან სესხის სახით, მიეცა სახელმწიფო ბანკიდან სამი ათასი მანეთი და ხუთი ათასი მანეთი კი მოკლევადიან სესხათ, რაიცა შემდეგში გადიდებულ იქნა 10,000 მანეთამდე.

ამ სამი წლის განმავლობაში ამხანაგობას გაუცია 756 სესხი 38,963 მ. 31 კ. მათ რიცხვში 1) მიწის საყიდლათ 89 სესხი 6,200 მანეთისა: 2) წისქვილებისა და სხვა სამეურნეო შენობებისათვის 17 სესხი—1,436 მან. 3) სახლკარისა 19—1,415 მანეთისა 4) მიწის გადასაბრუნებლათ, ვენახის საყიდლათ და სხვა და სხვა სამეურნეო საჭიროებისათვის 154—7,898 მ. 81 კაპ. 5) მანქანებისათვის 2--175 მანეთისა 6) მანქანების შეკეთებისათვის 4—160 მან. 7) საქონლის საყიდლათ 97—5,250 მან. 8) მიწის დასაგირავებლათ 52—5,952 მ. 9) რკინის, მაუდების, სპილენძის საყიდლათ და აბრეშუმის თესლის შესაძენათ 179—2101 მ. და 10 შ. 10) კერძო, დიდსარგებლიანი, ვალების გასასტუმრებლათ 135—7855 მ. და 11) სააქიმოთ და ბავშების აღსაზრდელათ 8—520 მანეთისა.

შეუძენი კასა, სახლი და სხვა და სხვა ქონება 399 მ. 67 კ., უყიდია ერთი აქცია მოსკოვის სახალხო ბანკისა 258 მ. 98 კ. წმიდა მოგება ხსენებულ დროის განმავლობაში დარჩენია 709 მ. 53 კ., რომლითგანაც განსაზღვრული თანხა თავის დროზე გადარიცხული იყო ძირითად და სათადარიგო თანხებში; დანარჩენი კი მიემატა განსაკუთრებულ მნიშვნელობის თანხას, რაიც თვით წევრებისაგან ერთდროულათ დატოვებულ თანხასთან ერთად ამა წლის პირველ იანვრისათვის უდრიდა 1,159 მ. 81 კ.

ხსენებულ ამხანაგობის საშუალებას შეადგენდა 3,000 მ. ძირითადი თანხა, 10,000 მ. მოკლე ვადიანი სესხი, 1159 მ. 81 კ. განსაკუთრებული მნიშვნელობის და თანხა 216 მ 10 შ. შესანახათ მობარებული თანხა: 236 მ. 53 კ. და 108 მ. 66 კ. საკუთარი ძირითადი და სათადარიგო თანხები და მოგებები და სხვა წვრილმანი. შემოსავლები.

ამათ გარდა, ამხანაგობას აქვს გახსნილი მოსკოვის სახალხო ბანკში 1,500 მანეთის კრედ. ამა წლის 12 აგვისტოს მოხდა ხსენებული ამხანაგობის რევიზია ინსპექტორის შაინოვის მიერ, რომელიც გაეცნო რა დაწვრილებით ამხანაგობაში საქმის წარმოებას, ყოველმხრივ მოიწონა და მადლობა გამოუცხადა გამგეობას საქმის წესიერად დაყენებისათვის.

ამხანაგობის გამგეობას აღძრული აქვს შუამდგომლობა სახელმწიფო ბანკის წინაშე, რომ მიეცეს ამხანაგობას 10,000 მანეთი გრძელვადიანი სესხი ვენახის, თხილისა და დაფის გასაშენებლათ და მოკლევადიანი სესხი გაუდიდდეს 20,000 მანეთამდე, რომლის შუამდგომლობასაც ინსპეკციაც მხარს უჭერს.

**სანკანიძე.**

—

**ს. სადმელი.** ეს სოფელი მდებარეობს ქვემო რაჭაში მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე. კულტურული დაწესებულებებით ეს სოფელი არ ჩამორჩება ქვემო რაჭის სხვა სოფლებს. აქ არსებობს ორკლასიანი სასწავლებელი და ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. სხვათა შორის, რამოდენიმე პირის მეთაურობით აქ გაიხსნა წიგნ-საცავ-სამკითხველო არჩილ ჯორჯაძის სახელობაზე... პირველ ხანებში ამ სამკითხველოს საქმე კარგათ მიდიოდა. მას მოეპოვებოდა თითქმის ყველა ქართული ჟურნალ გაზეთები, (საკმაოთ იყო რუსული გაზეთებიც.) ახლა კი ამ სამკითხველოს საქმე უკუღმა მიდის... სადმელის საზოგადოების მცხოვრებნი, ძლიერ დაინტერესებული არიან ომის ამბებით, რადგანაც თითქმის ყველა მათგანს ომში ჰყავს შვილები ან ძმები. ამიტომ ისინი ხშირათ დადიან სამკითხველოში, რომ გაიგონ ომის ამბები, მაგრამ, საუბედუროთ, მათ არ ჰხვდებათ არცერთი ახალი გაზეთი. არის მხოლოდ ორი ან სამი კვირის, ამიტომ ისინი ვერაფერ ახალს ვერ გებულობენ... წიგნები კი ბევრი აქვს სადმელის სამკითხველოს, როგორც შეწირული, ისე თავის ფულით გამოწერილი, მაგრამ დიდი შრომა უნდა გასწიოთ, რომ წიგნი აიღოთ წასაკითხავათ, რადგანაც სამკითხველო განსაზღვრულ დროს არ იღება.

სამკითხველოს ფული საკმაოთ აქვს და შეიძლება ისე მოწესრიგდეს სამკითხველოს საქმე, რომ მკითხველი საზოგადოება დაკმაყოფილდეს. ამისთვის საჭიროა მხოლოდ გამგეობის ჯეროვანი ყურადღების მიქცევა და მუდმივ მეთვალყურის დაყენება სამკითხველოში, რომ განსაზღვრულ დროს იღებოდეს ხოლმე. **გაუბედავი.**

—

**სოფ. კორბოული.** (ზემო იმერეთი). წრევანდელი წელი რომ სასიკეთო არ იქნებოდა, ეს იქიდანაც სჩანდა, რომ იანვარ-თებერვლის დღეები მაისის დღეებს მოგვაგონებდა ადამიანს, ხოლო გაზაფხულ-ზაფხულის თვეები კი თოვლ-ჭყაპს და უმსგავსო ლუშტერ-წვიმიან ამინდებს. გაზაფხულის თვეებმა ისე უგემურათ და უქმურათ ჩაიარეს, რომ მრავალი დასათესათ გამზადებული ადგილი დარჩა დაუმუშავებელი, და რაც დაითესა, ისიც არაფერს სახეიროს არ უქადდა საწყალ მუშას. ზაფხულის გამუდმებულმა წვიმებმა და მუშა ხელის სიმცირემ სიმინდის მრავალი ყანა დასტოვა დაუმარკლავ-გაუწმენდელი. ამას ზედ დაერთო ერთი უბედურებაც: აგვისტოს შუა რიცხვებიდან, როდესაც სიმინდი თითქმის შუა მწიფობაში შევიდა, გაუჩნდა რაღაც მოგრძო ნაცრისფერი მატლი, რომელიც უჩნდება სიმინდის ტაროს ქვემოდ უმთავრეს მუხლში და ტაროიანათ სტეხს, რამაც გაანახევრა თითქმის ნახევრად შემოსული სიმინდის ნათესაობა. მოხუცებულების თქმით, ჯერ არავის ახსოვს ჰქისგან ამნაირათ სიმინდის გაფუჭება. კულტუროსან ხალხში ეს სენი ერთს ბლიაქოთს ასტეხდა, მაგრამ ჩვენში კი...

პურის, ქერის და სხვა წვრილი თესლის მოსავალს ჩვენს მხარეში გაზაფხულის დამლევს სწორეთ რომ სახარბიელო პირი უჩანდა, მაგრამ გამუდმებულმა წვიმებმა და სიცივეებმა ისე წაახდინეს, რომ ამისთანა ნაკლები გამოსავალი არავის ახსოვს, და რაც გამოდის, ისიც ყოვლად უვარგისი და ნაკლებია, ასე რომ საჭმელათ ძლივს გამოდგეს, თუმცა მრავალი უკვე შეუდგა ნაადრევათ ამ უვარგისი თესლით პურის თესვას, ან და სად იშოვის უკეთესს და ან ვინ მიაწვდის?!..

რაც შეეხება ღვინის მოსავალს, ამაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. გაზაფხულ-ზაფხულის თვეების ყოვლად უმსგავსო ტაროსებისა და აგრეთვე შაბიამან-გოგირდის სიძვირისა და დროზე უწამლობის გამო, ვენახები პირწმინდათ მოისპო და განადგურდა. ასი კოკის მამულის მეპატრონეს ერთი კოკაც არ მოუვა წელს.

ასე და ამგვარათ საჩხერე-ჭიათურის რაიონებში წრევანდელი ჰირნახულის მოსავალი დიდი ბარაქალა იქნება, რომ 5—6 თვეს ეყოს სარჩოთ ხალხს. ამნაირათ კვლავ მცხოვრებთა წინაშე იმართება მოსალოდნელი სიმშილის შავი აჩრდილი...

ყოველივე ზემოთ მოხსენებულს მოჰყვა ჩვენს მხარეში საქონლის თურქული, რამაც დიდი ზარალი მიაყენა წვრილ ოთხფეხობას: ცხვარი და ღორი ბევრი გაწყვიტა. ხარი და ძროხა-კამეჩობა თუმცა ბევრი არა დაუხოცია რა, მაგრამ რაც გადარჩა, ძალზე შეაწუხა. ამას გარდა მუშა საქონლის თურქულით ავადმყოფობამ ბევრი პურის ძნები დასტოვა გაუკალოვებელი.

ფრიად საჭიროა, რომ საგუბერნიო დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა და აგრეთვე ქართველთა სამეურნეო და საქველმოქმედო საზოგადოებებმა ამ თავითვე მიიღონ სახეში ზემო-იმერეთის მხრის მცხოვრებთა მოსალოდნელი შიმშილიც და იღონონ რამე. ამ საქმეში დიდი დახმარება უნდა გაუწიონ ხსენებულ საზოგადოებათ სასოფლო საკრედიტო და კოოპერატიულ დაწესებულებათა მეთაურებმა.

**კორბოულელი.**

# ანგარიში

25 ივლისს ზესტაფონის განყოფილების გამგეობამ გამართა სეირნობა საბედისწერო ქვევრით არჩილ არაბიძის ეზოში. დიასახლისად იყვნენ: ა. გუნცაძისა და კნ. მ. აბაშიძისა, რომელთაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ამ სეირნობის მოწყობაში. გამგეობა დიდს მადლობას სწირავს, მის დამთმობს ბ. არჩ. არაბიძეს დიასახლისებს გუნცაძისა და აბაშიძისას, აქაურ საზოგადოებას შემომწირველთ და ყველა მათ, რომელთაც ხელი შეუწყვეს ამ სეირნობის გამართვაში. მოგვყავს აქვე, სია შემწირველებთა და საზოგადოთ შემოსავალ-გასავლისა.

შემოწირულება და საერთო შემოსავალი.

დიმიტრი წერეთლისაგან-ერთი ფუთი ღვინო და -2 მან. აზო საყვარელიძისაგან —2 მან. პლატონ მდივანისაგან 1 ფუთი ღვინო და—3 მან. ანდუყაფარ ხიდირბეგიშვილისაგან 1 ფუთი ღვინო, ბესარიონ საყვარელიძისაგან ერთი გოჭი, ფილიმონ კობახიძისაგან 1 ტიკჭორა ღვინო, იოსებ გუნცაძესაგან ღვინო და —5 მან. ილიკო აბაშიძისაგან—3 მან. ტასია პაჭიაშვილისაგან—3 მან.

ალექსანდრე შალამბერიძისაგან $1/2$ ფუთი ღვინო, ამბერკი მაჭავარიანისაგან—2 მან. ევდ. გორაევასაგან—5 მან. ბესარ. კელენჯერიძისაგან—5 მ. გორგაძესაგან—3 მან. ვ. გოცაძესაგან ღვინო 15 ბოთლი—10 მან. ვლ. გოცაძესაგან—5 მან. თეოფანე ნანეიშვილისაგან—5 მან. მიხეილ სიხარულიძესაგან—10 მან.

კნ.ვარინკა წერეთლისაგან-კრავი, გიორგი ყიფიანისაგან $1^1/_2$ ფ. ღვინო, გედე გველესიანისაგან-ინდოური, სიკო და ვანო ალავიძეებისაგან-ერთი გოჭი, სულ შემოწირულება ფულად 63 მან. ალეგრის ბილეთებიდან—89 მან. 48 კაპ. კარტიდან—25 მან. კანფეტებიდან 45 მან. 38 მან. სიკინძილადან—47 მან. 12 კაპ. წერილებიდან—9 მან. 60 კაპ. გასართოებიდან (რგოლი, მარჩილი და სხვ.)—8 მან. 23 კაპ. შემოსავლელი ბილეთებიდან—193 მან. 36 კაპ. ვახშამიდან—169 მან. სეირნობაზედ მორჩენილ ლიმონათებიდან—10 მან. ლატარეაზედ „ 2 ვაზიდგან—7 მან. სულ 667 მან 17 კაპ.

ხარჯი.

ყოველგვარი ხარჯები—316 მან. 10 კაპ.
დარჩა სეირნობიდან—351 მან 7 კაპ.

გამგეობა.

# შემოწირულება.

მგოსნის ვაჟა-ფშაველას სახელობის წიგნ-საცავ-სამკითხველოს დასაარსებლად „დღულაძისულ“ მოედანზე ქ. ქუთაისში შემოსწირეს:

ყ-დ სამღვდელო გიორგიმ, იმერეთის ეპისკოპოსმა 5 მან; ჭრუჭის მონასტრის არქიმანდრიტმა გაბრიელმა იასონ კაპანაძემ სამ-სამი მანეთი, მღვდლებმა: ამბაკო ღიბრაძემ, ვლადიმერ კაპანაძემ, სევერიანე კაკალიძემ, ილარიონ გორდეულაძემ, რაჟდენ ხუნდაძემ, მინა მესხმა, იასონ აბესაძემ, მიხაილ ჭყუაძემ, იასონ შვანგირაძემ, სერგო მაჭარაშვილმა, დოსიტეი ლომჯერიძემ, მიხეილ გოგსაძემ და რაჟდენ სანებლიძემ, დეკანოზებმა; ერმალოზ ვეშაპაძემ და რომანოზ ლეკანიძემ და ბლაღოჩინებმა: იოსებ წერეთელმა, იუსტინე ფანცხავამ და სიმონ ჭელიძემ თითო მანეთი; სულ 29 მან. რომელი თანხაც გადაეცა სამზრუნველო კომიტეტის მოლარეს ივლ. ჭითავას.

სამზრუნველო კომიტეტის წევრი **კალენიკე ჩხაიძე.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

პატივცემულო რედაქტორო! აზრის 135 ნომერში მოთავსებულია „მე-ნე“-ს ფსევდონიმით წერილის საპასუხოთ, უმორჩილესად გთხოვთ მომცეთ საშუალება თქვენი პატივცემული გაზეთით ვცნობო საზოგადოებას, რომ მთელი წერილი ჩემს წინააღმდეგ მიმართული, მხოლოდ და მხოლოდ სიცრუეს წარმოადგენს საზოგადოების წინაშე ვალდებული ვარ სიმართლის აღსადგენათ ნამდვილი საბუთებით გავაქარწყლო სიყალბეზე და სიცრუეზე აშენებული ჩემს წინააღმდეგ მომართული ბრალდება.

აი საქმე რაში მდგომარეობს; 1. კორესპონდენტები თავდა-პირველად ეხება აზოვის პატარა გემებს, კერძოთ კი პარამანოვის სამუშაოს, სადაც მასახელებს „მოიჯარადრეთ“ და მიწოდებს „სინდის გარეცხილს“. ძალიან სამწუხაროა რომ „მე-ნე“-ს ვერ გაუგია რომ 1906 წლიდან მე ვარ მხოლოდ პარამანოვის მხრით დანიშნული ზედამხედველათ და ჩემს მოვალეობას შეადგენს თვალ ყური ვადევნო მაღაზიას, ნამდვილი მუშები მოვიწვიო და მოვაწესრიგო სამუშაო. ამის გარდა მუშებისგან მაქვს დავალებული, რომ მათ სამუშაო გაუწიო და ამ ჩემი უკანასკნელი შრომისათვის თავიანთი სურვილით მუშები მაძლევენ ხელზე ერთი კაცის ხვედრს. ეს სისტემა დამინიშნა 1906 წლიდგან თვით მუშებისაგან არჩეულ კომისიამ, შემდგარმა ოთხ კაცისაგან მათ შორის ბრძანდებოდა ს. გოგობერიძე. მას შემდეგ განვლო 8-9 წელმა და არავითარი უსიამოვნება ჩემს და მუშებს შორის არ დატრიალებულა. ამ წლის 28 ივლის პირიქით მუშებმა ისევ ს. გოგობერიძის თანდასწრებით აღიარეს, რომ მე ამ წლის დღიდან ვიყავი და ვარ ეხლაც.

2. კორესპონდენტი სწერს, ვითომც მე მევდეს წვრილი მოიჯარადრები და ისინი ცალკე აქტავებდნენ მუშებს და მათგან კი მე ცალკე ვსარგებლობდე ყოველი მუშაობის გათავების შემდეგ, პარამანოვის მართველი კონტორი იძლევა უცხადებს მუშებს ფუთობის და ფულის რაოდენობას, აბარებს ფულს მუშების წარმომადგენელ ოთხ კაცს და უცხადებს მუშებს, რომ არავითარი საუფროსო არც წარმომადგენელთ და არც სხვებს არ მიეცეს და თანასწორად გაიყონ ხვედრი ფული.

3. ეხება იმას, რომ ვითომ მე ათის ფუთზე მუშებს ვაძლევდე 8-9 მანეთს, მწარმოებლისაგან კი ვღებულობდე მეტს და ამასთანავე ვკლებდე ფუთობის ანგარიშს, მოჰყავს მას მაგალითი! მუშებს ვითომ გად მოუტვირთათ 40—50 ათასი ფუთი, მე და ჩემს არ არსებულ აგენტებს მაჰყვდის 30-35 ათასი ფუთის ან [illegible] რომ უცხადებს მუშებს, [illegible] გარდა, მუშები შედიან [illegible] კას ახდენენ ფუთობის რაოდენობისას, კანტორის სიიდანაც რწმუნდებიან მუშები ფუთობის ანგარიშში, ფუთობის სისწორე შედის აგრეთვე უპრავშიაც, სადაც მუშებს თამამათ შეუძლიათ, თუ საჭირო იქნება „სპრავკა“ მოახდინონ. საზოგადო ფასებიც ყველა დარგის მუშებმა იციან, ამ პირობის მიხედვით განა კორესპონდენტს ქონდა უფლება, რომ ასეთი უსინდისო ბრალდება ჩემს წინააღმდეგ წამოეყენებია? ამის შემდეგ ჭეშმარიტებათ უნდა ჩაითვალოს, რომ ჩემის მხრით დაკლება ან ფულის და ან ფუთობის ანგარიშის არ შეიძლებოდა.

4. კორესპონდენტი ეხება დეპუტატის, რომელიც მიაგზავნეს მწარმოებელთან ჩვენმა მუშებმა და მოსთხოვეს 1. შრომის ქირის გადიდება (1000 ფუთში 12 მან. კი არა 17 მან.) 2. „სორტიროვშიკების“ (სამი კაცი კი არა ორი კაცის) ჯამაგირი მიეცათ მწარმოებელს და არა მუშების ქირიდან. ეს მეოთხე მუხლი მეც გამოწვევ, მართალია, მხოლოდ ჩვენივე მუშების მეოხებით იქნა დაკმაყოფილებული. რაც შეეხება იმას, რომ „მე-ნე“ იუწყება არჩეულ იქნენ რწმუნებულებათ ს. გოგობერიძე, ე. ჯაიანი, კ. სანიკიძე და გ. დარახველიძე, შევეკითხოთ კორესპონდენტს: ეს მოხსენებულნი პირნი თუ არიან ნამდვილი მუშები და ან თუ ნამდვილი მუშებისაგან არჩეულნი?

ასე მოკლეთ ვცნობ პატივცემულ საზოგადოებას „მე ნე“-ს წერილის სიყალბეს და ამასთანავე ვიწვევ მე მას სამედიატორო სამართალში და მზათ ვარ უტყუარი და ნამდვილი საბუთებით და ნამდვილი მუშების მოწმობით დავუმტკიცო მას და მის თანამოაზრეებს ჩემი სიმართლე. **ილიკო შარაშიძე.**

—

**ბ. რედაქტორო!**

უმორჩილესად გთხოვ ნება გვიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთი „სამშობლოს“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ მედიცინის დოქტორ პრივატ-დოცენტს ბ. ნ. ვარლამ ჩაველ ძე მოსეშვილს, რომელმაც გვითილი ინება მობრძანება ს. ჩიბათში ამა წლის 1 აგვისტოს, ავათმყოფების საქმით დახმარებისთვის და სრული შემოსული ასი მანეთი შემოსწირა გომახურის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს.

მადლობას უცხადებთ აგრეთვე ქ დ. ჭ. თამარა ტუსკიასას და ჭ. ნ. გიორგი ტუსკის, რომლებმაც უდიდესი დახმარება აღმოგვიჩინა ამა საქმეში.

გამგეობის თავჯდომარე: ვასო ჭუონია.
წევრები: მღ. ბარნაბ ჯორბენაძე.
თამარა ჭუონიასი ანდრ. ჭუონია.

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძე.**


გამოვიდა და იყიდება ყველა მაღაზიაში

**მთავრიშვილის** წიგნის მაღაზიის გამოცემა ქართული წიგნი:

**„ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“,**

შედგენილი **ს. რ. გორგაძის** მიერ. ფასი 6 აბაზი.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

**დიდი იაფი ვაჭრობა**

**ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.**

**რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.**

პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

თვ.

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი**

**ქართული და რუსული** სახელმძღვანელო **წიგნები,**

გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოსტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება **საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.**

თვ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

**მიღებულია დიდძალი**

**საპნის გასაკეთებელი „სოდა“**

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები მეტად ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.